



ბრძანება N02-09/351

ბათუმი

29 დეკემბერი 2016 წ

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოში

ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოში (შემდგომში „მაუწყებელი“) მაღალკვალიფიციური კადრების მოძიადების, მუშაობისა და ახალი ინიციატივის გამოვლენის საშუალების მიცემის მიზნით, მმართველის საბჭოს 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვაცხადებ ღია კონკურსს მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულებში - ახალი ამბების სამსახურსა და მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურში. ამდენად, ვხელმძღვანელობ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35¹⁰-ე (მე-7 პუნქტი) მუხლით და მაუწყებლის დებულების 3.1.7., 3.1.9, და 5.3.9 პუნქტით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურულ ერთეულებში სხვადასხვა პოზიციებზე გამოცხადდეს ღია კონკურსი;
 - 1.1. ამ მუხლით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულებია: ახალი ამბების სამსახური და მიმდინარე მაუწყებლობის სამსახური;
 - 1.2. ახალი ამბების სამსახურში კონკურსი გამოცხადდეს რედაქტორისა და წამყვან/რეპორტიორის პოზიციებზე, ხოლო მიმდინარე მაუწყებლობის სამსახურში ვებ-რედაქტორის პოზიციაზე;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატებისთვის წაყენებული მოთხოვნები, განცხადებების მიღების ვადა და საკონკურსო ეტაპები დადგინდეს დანართებით (დანართი N1 - რედაქტორის პოზიციისთვის დადგენილი მოთხოვნები; დანართი N2 - წამყვან/რეპორტიორისათვის დადგენილი მოთხოვნები; დანართი N3 - ვებ-რედაქტორისთვის დადგენილი მოთხოვნები);
3. კონკურსში მონაწილობის მსურველი დაინტერესებული პირების განაცხადების შეგროვებას (მიღებას) ახორციელებს მაუწყებლის საკადრო ბაზის განვითარების სამსახური;
4. დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას განიხილავს და ადგენს მაუწყებლის კოლეგიური ორგანო - მმართველი საბჭო;
5. საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრა განხორციელდება ამ ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადების (დოკუმენტაციის) განხილვის შემდეგ;
6. ბრძანება ძალაშია ხელმიწერისთანავე და მისი გასაჩივრება დაინტერესებული პირს შეუძლია კანონით დადგენილი წესითა და ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

დირექტორი

ნათია კაპანაძე